



სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე გამოცდების

ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია

## **მუხლი 1. შეფასების მიზანი**

1. შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) იუნკერის სწავლის შედეგები აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

## **მუხლი 2. შეფასების ძირითადი პრინციპები**

1. გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპი: ინფორმაცია შეფასების მეთოდებსა თუ კრიტერიუმებზე ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. იუნკერმა სასწავლო სემესტრის დასაწყისშივე უნდა იცოდეს როდის და როგორ შეაფასებენ მისი ცოდნის და უნარ-ჩვევების ამა თუ იმ პარამეტრს.

2. სისტემატურობის პრინციპი: შეფასება არ არის ერთჯერადი აქტი. ის გეგმაზომიერი პროცესია, რომელიც სწავლის ერთიანი მოტივაციური სისტემის ელემენტია: იუნკერს გამოუმუშავებს მუდმივ მზაობას გამოავლინოს და განსაზღვროს საკუთარი შრომის ეფექტიანობა, ხოლო აკადემიურ პერსონალს-განახორციელოს მონიტორინგი იუნკერის ცოდნის შეძენისა და განვითარების პროცესზე.

3. სამართლიანობის პრინციპი: მიდგომა ყველა იუნკერის ცოდნის შეფასებისადმი ერთიანი სტანდარტით უნდა განხორციელდეს. თითოეულ იუნკერს თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლის მისაღწევად.

4. ოპტიმალურობის პრინციპი: შეფასების მეთოდების შერჩევა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სრულყოფილი ინფორმაციის მიღება, შესაფასებელი პარამეტრების ხარისხობრივი დონის შესახებ მაქსიმალურად მცირე დროში; მეორე მხრივ, შეფასების სიხშირე უნდა განისაზღვროს კონკრეტული სალექციო კურსის სპეციფიკისა და ჯგუფის თავისებურების გათვალისწინებით.

5. დიფერენცირების პრინციპი: შეფასების მეთოდები უნდა შეირჩეს აკადემიური პროგრამის დონისა და თითოეულ დონეზე დასახული შემეცნებითი ამოცანების გათვალისწინებით.

6. სანდოობის პრინციპი: შეფასება სტანდარტული კრიტერიუმების ფარგლებში

უნდა განხორციელდეს და რეალურად ასახოს შესაფასებელი პარამეტრების ხარისხობრივი დონე.

### **მუხლი 3. საკრედიტო სისტემა**

1. კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს იუნკერისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც იუნკერის მიერ, შესაძლებელია სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღების შემდეგ, რაც გამოიხატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. აკადემიაში მოქმედებს ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემა (ECTS) :

1 კრედიტი=25 საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო (ლექციაზე დასწრება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული ან/და ლაბორატორიული მეცადინეობა, შუალედური/დასკვნითი გამოცდების ჩაბარება და სხვა) და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ საათებს (ინდივიდუალური მუშაობა, პრეზენტაციების რეფერატების მომზადება, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის მზადება).

### **მუხლი 4. გამოცდები**

1. გამოცდა წარმოადგენს იუნკერთა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტს, რომლითაც, შუალედურ შეფასებებთან ერთად, დგინდება იუნკერის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შედეგის მიღწევა.

2. ცალკეული სასწავლო კურსების გამოცდების ფორმას და ხანგრძლივობას ადგენს სასწავლო კურსის განმახორციელებელი, სკოლის დირექტორთან და აკადემიის სასწავლო სამმართველოსთან შეთანხმებით.

3. აკადემიაში გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ორი სახის:

ა) წერითი (ტესტური, თეორიული საკითხების დავალებები);

ბ) შერეული – ზეპირი და წერითი.

4. გამოცდის როგორც წერითი, ისე ზეპირი ნაწილისათვის, გავლილი სასწავლო

კურსის ფარგლებში, საკითხებს, სკოლებთან შეთანხმებით, ადგენს სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორ(ებ)ი/სამხედრო ინსტრუქტორ(ებ)ი, მასწავლებლ(ებ)ი.

5. წერთი გამოცდა ტარდება საგამოცდო ცენტრში, ILIAS კომპიუტერული პლატფორმის გამოყენებით. გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი/სამხედრო ინსტრუქტორი, მასწავლებელი საგამოცდო მასალას ატვირთავს ILIAS კომპიუტერულ პლატფორმაში. გამოცდის ზეპირი ნაწილის საგამოცდო საკითხების სულ მცირე ორი ვარიანტი, გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე, გადაეცემა შეფასებისა და მონიტორინგის განყოფილებას.

6. რაიმე ტექნიკური მიზეზით ან მეთოდური მოსაზრების გამო თუ წერთი გამოცდა ვერ/არ ტარდება ILIAS პლატფორმის ბაზაზე მაშინ გამოცდა ტარდება საგამოცდო ბუკლეტების გამოყენებით, წინასწარ განსაზღვრულ საგამოცდო აუდიტორიებში. ამ შემთხვევაში საგამოცდო ბუკლეტი მზადდება შეფასების და მონიტორინგის განყოფილების მიერ, წინამდებარე ინსტრუქციის მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად

7. იმ შემთხვევაში, თუ იუნკერმა სემესტრის ბოლოს სასწავლო კურსში მიიღო შეფასება (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, ის აბარებს დამატებით გამოცდას. იუნკერს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

## **მუხლი 5. იუნკერის დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობები და შუალედური/დასკვნითი გამოცდის პროცედურა**

1. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის ჯამის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულია.
2. იუნკერის მიერ საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში შუალედური/დასკვნითი გამოცდის აღდგენაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად, იუნკერმა სკოლის დირექტორს უნდა მიმართოს შესაბამისი განცხადებით, რომელშიც დასაბუთებული იქნება გაცდენის საპატიო მიზეზი. ამგვარის არსებობის შემთხვევაში, იუნკერი გამოცდაზე დაიშვება გამოცდის ჩატარებიდან გონივრულ ვადაში სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.
3. მიმდინარე შეფასებების უწყისები ივსება სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორის მიერ და გადაეცემა შესაბამის სკოლას და სკოლა გადასცემს აკადემიის შეფასების და მონიტორინგის განყოფილებას დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე.
4. შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების საგამოცდო უწყისი ივსება აკადემიის შეფასების და მონიტორინგის განყოფილების მიერ. მიმდინარე შეფასებების უწყისს ხელს აწერს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი და სკოლის დირექტორი. შუალედური და დასკვნითი გამოცდების უწყისს ხელს აწერს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი, აკადემიის შეფასების და მონიტორინგის განყოფილება და სკოლის დირექტორი.
5. გამოცდის მიმდინარეობით უკმაყოფილების ან მასთან დაკავშირებული სხვა პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, იუნკერს შეუძლია იმავე დღეს წერილობითი სახით მიმართოს სკოლის დირექტორს გამოცდის მიმდინარეობისას წარმოქმნილი პრობლემების შესწავლის მიზნით.
6. გამოცდის შედეგების უკმაყოფილების შემთხვევაში / შეფასების გასაჩივრების მიზნით იუნკერს შეუძლია წერილობითი ფორმით მიმართოს სკოლის დირექტორს შედეგების გამოცხადებიდან სამი (3) სამუშაო დღის განმავლობაში.

## **მუხლი 6. ფიზიკური მომზადების დონის დასადგენი ტესტირება.**

1. დამატებითი პროგრამის „საერთო საჯარისო მართვა“ სწავლის შედეგებზე გასასვლელად აუცილებელია იუნკერის ფიზიკური მომზადება შეესაბამებოდეს „შეიარაღებულ ძალებში ფიზიკური მომზადების დონის დასადგენი ტესტირების ჩატარებისა და შეფასების წესი“-თ განსაზღვრულ სტანდარტებს. იუნკერები დადგენილი პერიოდულობით ჩააბარებენ ფიზიკური მომზადების დონის დასადგენ ტესტირებას აღნიშნული წესის შესაბამისად.

2. იუნკერთა ბატალიონის იუნკერებს სემესტრის განმავლობაში უტარდებათ **ორი კატეგორიის ფიზიკური მომზადების ტესტი**: დიაგნოსტიკური და საკვალიფიკაციო ტესტი.

- 1) დიაგნოსტიკური ტესტი ტარდება სემესტრის შუალედში.
- 2) საკვალიფიკაციო ტესტი ტარდება სემესტრის ბოლოს.

3. **დიაგნოსტიკური ტესტი**: დიაგნოსტიკური ტესტის მიზანია იუნკერების ფიზიკური მომზადების დონის განსაზღვრა სემესტრის განმავლობაში, რის მიხედვითაც იუნკერებს უტარდებათ ფიზიკური მომზადება, ეძლევათ ინდივიდუალური ვარჯიშის უფლება ან ეძლევათ სურვილისამებრ ვარჯიშის უფლება.

ტესტის წარუმატებლად ჩაბარების შემთხვევაში დაიწერება „**არჩათვლა**“ და იუნკერს ენიჭება კატეგორია – „ფიზიკურად მოუმზადებელი“. აღნიშნული სტატუსი უნარჩუნდება მანამ, სანამ არ ჩააბარებს ტესტს. აღნიშნული კატეგორიის მინიჭება ხდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იუნკერს ეთა-ს ლაზარეთის ექიმი ანიჭებს „განთავისუფლებულია დატვირთვისაგან“.

4. **საკვალიფიკაციო ტესტი**: საკვალიფიკაციო ტესტის ჩაბარება განსაზღვრულია დამატებითი პროგრამის „საერთო საჯარისო მართვის“ განსაკუთრებული მოთხოვნებით. საკვალიფიკაციო ტესტის მიზანია იუნკერების ფიზიკური მომზადების დონის შეფასება. აღნიშნულ ტესტში მიღებული ქულები აისახება იუნკერის რეიტინგზე.

5. **ტესტირების შედეგი:** ტესტის მთლიანად ჩაბარებისათვის საჭიროა, იუნკერმა პირველ და მეორე კურსზე მოაგროვოს მინიმუმ 60 ქულა თითოეულ კომპონენტში. მესამე და მეოთხე კურსელმა იუნკერმა ტესტის მთლიანად ჩაბარებისათვის საჭიროა, მოაგროვოს მინიმუმ 70 ქულა თითოეულ კომპონენტში. იუნკერმა ჯამში ყველა კომპონენტიდან შესაძლოა დააგროვოს მაქსიმუმ 300 ქულა.

6. **არჩათვლა:** არადამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების შემთხვევაში იუნკერი ვალდებულია გადააბაროს ტესტი მოსამზადებელი პერიოდის დასრულებიდან - არანაკლებ 1 (ერთი) თვის ვადაში. განმეორებით უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში აკადემიური საბჭო განიხილავს იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს.

7. **არგამოცხადება:** ყველა იუნკერი ვალდებულია გამოცხადდეს ფიზიკური ნორმატივების ჩასაბარებლად დადგენილ პერიოდში. თუ იუნკერი საპატიო მიზეზის გამო არ გამოცხადდება ტესტირებაზე, იუნკერის გამოცხადების შემდეგ მოხდება ტესტის ჩაბარება. იმ შემთხვევაში თუ იუნკერი არასაპატიო მიზეზის გამო გააცდენს ტესტირებას, იუნკერს ჩაეწერება არჩათვლა და მოუწევს ტესტირების გადაბარება 1 (ერთი) თვის ვადაში.

8. **ფიზიკური დატვირთვისგან განთავისუფლებული იუნკერი:**

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე (მის მიერ წარმოდგენილი იქნება ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საავადმყოფო ფურცელი/ცნობა - ფორმა №IV-100/ა გათავისუფლების შესახებ), მას შეუძლია ჩააბაროს ალტერნატიული ტესტი, პატაკით უნდა მიმართოს კურსის უფროსს, რომელიც უშუამდგომლებს აკადემიის ხელმძღვანელობასთან. აკადემიის ხელმძღვანელობა ექიმის რეკომენდაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ალტერნატიული ტესტის ჩატარების შესახებ;

ბ) იმყოფება სამსახურებრივ მივლინებაში საზღვარგარეთ;

გ) მივლინებულია სამხედრო სასწავლებელში (ან პროფესიული განვითარების კურსზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტესტს ატარებს სამხედრო სასწავლებელი (ან შესაბამისი კურსი);

დ) მის მიერ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების დასრულებიდან არ გასულა 6 (ექვსი) თვე;

ე) მის მიერ ოპერაციული მკურნალობის ჩატარების შემდეგ, სამკურნალო შვებულების დასრულებიდან არ გასულა 3 (სამი) თვე.

### **მუხლი 7. იუნკერის რეიტინგული ქულის გამოთვლის წესი.**

1. აკადემიური მოსწრების საშუალოქულა არის (კოეფიციენტი - 0,6) - იუნკერის მიერ სემესტრის განმავლობაში თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასებების საშუალო მნიშვნელობა. აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა გამოითვლება თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული სემესტრული შეფასებისა და სასწავლო კურსის კრედიტის გათვალისწინებით. აღნიშნული ქულის გამოთვლის მიზნით ყოველი სასწავლო კურსის სემესტრული შეფასება მრავლდება სასწავლო კურსის კრედიტზე და მიღებული ნამრავლების ჯამი იყოფა მოცემული სემესტრის სასწავლო კურსების კრედიტების ჯამზე.

2. სამხედრო მომზადების ქულა (კოეფიციენტი - 0,27):

ა) სამხედრო მომზადების ქულა მოიცავს ორკომპონენტს:

ა.ა) საერთო-საჯარისო მართვის ქულა - საერთო-საჯარისო მართვის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის სემესტრული შეფასების ქულა (კოეფიციენტი - 0,6);

ა.ბ) ლიდერიზმის შეფასების ქულა - სამეთაურო უნარ-ჩვევებისა და საჯარისო სამსახურის შესრულების შეფასების ქულა (კოეფიციენტი - 0,4);

ბ) ქულის გამოთვლის მიზნით, საერთო-საჯარისო მართვის ქულა მრავლდება საერთო-საჯარისო მართვის ქულის კოეფიციენტზე (0,6) და ემატება ლიდერიზმის შეფასების ქულის კოეფიციენტის (0,4) ნამრავლი.

3. ფიზიკური მომზადების საშუალო ქულა (კოეფიციენტი - 0,13) - ფიზიკური მომზადების სამივე სახეობაში (წოლბჯენიდან აზიდვა, მუცლის პრესი, სირბილი) მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული.

4. იუნკერის რეიტინგული ქულა გამოითვლება შემდეგნაირად: აკადემიური მოსწრების საშუალო ქულისა და მისი კოეფიციენტის (0,6) ნამრავლს დამატებული



სამხედრო მომზადების ქულისა და მისი კოეფიციენტის (0,27) ნამრავლი და დამატებული ფიზიკური მომზადების საშუალო ქულისა და მისი კოეფიციენტის (0,13) ნამრავლი.

5. იუნკერის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების გამო საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 მარტის №124 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდების“ მე-2 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული 100 საკრედიტო ქულიდან ყოველი 5 ერთეულის გამოკლება იწვევს, ამ დოკუმენტის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესით გამოთვლილი რეიტინგული ქულიდან ერთი ქულის გამოკლებას.

#### **მუხლი 8. საგამოცდო დოკუმენტაციის მომზადების ღონისძიებები**

საგამოცდო უკუღმართით გამოცდის ჩატარების შემთხვევაში.

1. შუალედურ/დასკვნით და დამატებით საგამოცდო დავალებებს ადგენს სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორ(ებ)ი, ხოლო გამოცდას ატარებს აკადემიის შეფასებისა და მონიტორინგის განყოფილება.
2. უცხოური ენის საგამოცდო დავალებებს, ენობრივი დონეების მიხედვით, ამზადებს ენობრივი მომზადების განყოფილების საგამოცდო მასალების მომზადების ჯგუფი, რომელიც იქმნება აკადემიის საბაკალავრო სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით. მომზადებული მასალა გადაეცემა აკადემიის შეფასებისა და მონიტორინგის განყოფილებას.
3. საგამოცდო ტესტის საბოლოო ვარიანტი ჩაიწერება ინფორმაციის შენახვის ელექტრონულ საშუალებებზე, შესაბამისი შიფრის მინიჭებით და ინახება დაცულ ადგილზე;
4. აკადემიის შეფასებისა და მონიტორინგის განყოფილება უზრუნველყოფს საგამოცდო დოკუმენტაციის საიდუმლოობას;
5. საგამოცდო ტესტების მომზადების დაწყებიდან გამოცდის ჩატარებამდე,

საგამოცდო დოკუმენტაცია წარმოადგენს დახურულ დოკუმენტს;

6. საგამოცდო ტესტები მომზადდება ვარიანტებად და მრავლდება იუნკერთა რაოდენობის შესაბამისად;

7. გამოცდა ტარდება განსაზღვრული სასწავლო-მეთოდური საშუალებების გამოყენებით;

8. საგამოცდო ტესტი გამრავლების შემდეგ პასუხების ბარათთან ერთად თავსდება კონვერტში და ილუქება.

9. შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარებას მონიტორინგს უწევს სასწავლო დაწესებულებების სასწავლო სამმართველო. შემდგომ ხდება შედეგების სტატისტიკურად დამუშავება.

### **მუხლი 9. საგამოცდო ტესტური შეკითხვების მომზადების წესი**

საგამოცდო ბუკლეტით გამოცდის ჩატარების შემთხვევაში.

1. ყოველი შეკითხვა უნდა იწყებოდეს „@“ სიმბოლოთი;

2. პასუხების ყოველი ვარიანტი დაიწყოს „&“ სიმბოლოთი და პასუხის ბოლო ვარიანტი უნდა მთავრდებოდეს „\$“ სიმბოლოთი. პასუხების ვარიანტები უნდა ჩაიწეროს ცალ-ცალკეს ტრიქონზე, ერთმანეთის ქვეშ; საგამოცდო მასალის ბოლო შეკითხვის პასუხების ბოლო ვარიანტი მთავრდება „@“, „&“ სიმბოლოებით, რაც დამთავრებას აღნიშნავს; თუ შეკითხვა შეიცავს ნახატს ან „ინსერტ“ მენიუდან ამოღებულ სიმბოლოს, მაშინ ის უნდა იწყებოდეს „@“ სიმბოლოთი თუ ზემოთ აღნიშნულ ჩანართს შეიცავს პასუხის ვარიანტი, ის უნდა იწყებოდეს „&“ სიმბოლოთი (ნახაზი ან სიმბოლო შესაძლებელია დაიწეროს იმავე ახალ სტრიქონზე); კომპლექსური შეკითხვების პირველი და ბოლო შეკითხვა აღინიშნება „@“, „#“ სიმბოლოებით; ყოველი შეკითხვის სწორი პასუხი ჩაიწერება პირველ ნომრად; საგამოცდო მასალებში დაუშვებელია „Header“ და „Footer“-ის აღნიშვნების გამოყენება; საგამოცდო მასალა შესრულებული უნდა იყოს Rich Text Format (RTF)--ის სახით. ამავე ფორმატში მზადდება საგამოცდო ინსტრუქციაც; საგამოცდო მასალაში დაუშვებელია „მაკრო“ „ბულლეტ“ დაგვერდება;

საგამოცდო მასალაში დანომვრა „@“ „#“ „\$“ „&“ უნდა მოხდეს ნორმალური და

ერთი და იმავე ზომის შრიფტით.

## **მუხლი 10. გამოცდის მიმდინარეობა**

1. საგამოცდო აუდიტორიაში ერთ საგამოცდო მაგიდასთან უნდა განთავსდეს მხოლოდ ერთი იუნკერი.
2. საგამოცდო აუდიტორიაში იუნკერი დროულად იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს, 15 წუთზე მეტი დროის დაგვიანების შემთხვევაში იუნკერი გამოცდაზე არ დაიშვება. გამონაკლის შემთხვევაში დაგვიანებული იუნკერის გამოცდაზე დაშვების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მონიტორინგის ჯგუფი.
3. გამოცდის დაწყებამდე დაფაზე უნდა დაიწეროს გამოცდის დაწყებისა და დამთავრების დრო.
4. იუნკერის მიერ გადაწერის მცდელობის, გადაწერის, ე.წ. „შპარგალკის“ აღმოჩენის, კარნახის ან გამოცდისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში, რომელიც გამოვლინდება გამოცდის მიმდინარეობისას და რომელიც დადასტურდება სამეთვალყურეო კამერით გადაღებული კადრებიდან ან/და იუნკერის, ლექტორის/მასწავლებლის/ინსტრუქტორის/დამკვირვებელის და სხვა პერსონალის პატაკით, ახსნა-განმარტებით ან/და განცხადებით, იუნკერი მოიხსნება გამოცდიდან, მოხდება გამოცდისთვის განსაზღვრული ქულების განულება და საგამოცდო შეფასებად დაფიქსირდება „0“. აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით შედგება საგამოცდო დისციპლინის დარღვევის ოქმი (დანართი N 1). ეს პრინციპი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუკი გარკვეული მიზეზების გამო დარღვევის აღმოჩენა არ/ვერ მოხერხდება უშუალოდ გამოცდის მიმდინარეობის პროცესში და ზემოხსენებული გადაცდომები დაფიქსირდება მონიტორინგის ჯგუფის მიერ სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების ანალიზის შედეგად.
5. იუნკერის მიერ, საგამოცდო მასალის არამართლზომიერი მოპოვების მცდელობის, მოპოვების ან/და გამოყენების, გადაცემის შემთხვევა, რომელიც გამოვლინდება გამოცდამდე, გამოცდის მიმდინარეობისას ან გამოცდის დასრულების შემდგომ და რომელიც დასტურდება სამეთვალყურეო კამერით

გადაღებული კადრებიდან ან/და იუნკერის, ლექტორის/მასწავლებლის/ინსტრუქტორის/დამკვირვებლის და სხვა პერსონალის პატაკით, ახსნა-განმარტებით ან/და განცხადებით, იუნკერი მოიხსნება გამოცდიდან, მოხდება გამოცდისთვის განსაზღვრული ქულების განულება და საგამოცდო შეფასებად დაფიქსირდება „0“.

6. საგამოცდო დისციპლინის დაცვის მიზნით გამოცდის მიმდინარეობისას ხორციელდება მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებენ დამკვირვებლები. მონიტორინგს ახორციელებენ აკადემიის სასწავლო სამმართველო, შეფასებისა და მონიტორინგის განყოფილება საბაკალავრო სკოლა ან/და აკადემიის საბაკალავრო სკოლის იუნკერთა ბატალიონი. მონიტორინგის ჯგუფის ყველა წევრი ვალდებულია თვალყური ადევნოს იუნკერთა ქცევას გამოცდაზე და ვალდებულია მისცეს შენიშვნა იუნკერს საგამოცდო დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით ამგვარის არსებობის შემთხვევაში, ამავდროულად შენიშვნების ფურცელში (დანართი N2) კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. მონიტორინგის ჯგუფის წევრები უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება დისციპლინის ან აღნიშნული დებულების მე-9 მუხლში დაფიქსირებული სხვა დარღვევის გამო იუნკერის გამოცდიდან მოხსნის შესახებ. აღნიშნულ შემთხვევაში ასევე უნდა შედგეს საგამოცდო დისციპლინის დარღვევის ოქმი (დანართი N 1).

7. გამოცდის მიმდინარეობისას საგამოცდო დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით დამკვირვებლის მიერ იუნკერისათვის მიცემული შენიშვნები ფიქსირდება შენიშვნების ფურცელში(დანართი N2). ორი შენიშვნის მიღების შემთხვევაში იუნკერის საგამოცდო ნამუშევრის შეფასებისას მიღებული ქულა ნახევრდება. სამი შენიშვნის მიღების შემთხვევაში იუნკერი იხსნება გამოცდიდან და ეწერება ნული ქულა.

8. გამოცდის მიმდინარეობაში არ არიან ჩართულები იმ სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორ(ებ)ი/სამხედრო ინსტრუქტორ(ებ)ი/მასწავლებლ(ებ)ი, რომელშიც ტარდება გამოცდა.

9. საგამოცდო ინსტრუქტაჟი ტესტის სტრუქტურასა და საგამოცდო დავალებების შესრულების წესთან დაკავშირებით გამოცდაზე არ ჩატარდება. აღნიშნული

ინსტრუქტაჟი იუნკერებს ჩაუტარდებათ გამოცდის წინა კონსულტაციაზე.

10. გამოცდის დამთავრების შემდეგ, დება გამოცდაზე გამოუცხადებელი უნკერთა სია, რომელიც გადაეცემა აკადემიის სკოლას, აკადემიის სასწავლო სამმართველოს და შეფასების და მონიტორინგის განყოფილებას.

### **მუხლი 11. გამოცდის შედეგების შეფასება**

1. წერთი გამოცდის ILIAS კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით ჩატარების შემთხვევაში, გამოცდის ტესტური ნაწილის შეფასებას ავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამა, ხოლო წერთი დავალებების შეფასებას ახორციელებს შესაბამისი სასწავლო კურსის ხელმძღვანელი. გამოცდების შედეგები შეფასების და მონიტორინგის განყოფილების მიერ ჩამოიტვირთება ILIAS პროგრამიდან და შეიტანება იუნკერთა აკადემიური მოსწრების კრებისით მონაცემებში.

2. საგამოცდო ბუკლეტების გამოყენებით გამოცდის ჩატარებისას ტესტური ნაწილის შეფასება ხორციელდება შეფასების და მონიტორინგის განყოფილებაში, პასუხების ბარათის ოპტიკური მკითხველისა და სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით. წერთი დავალებების შეფასება ხორციელდება სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ და შედეგები გადაეცემა შეფასების და მონიტორინგის განყოფილებას. ტესტური ნაწილისა და წერთი დავალებების შედეგები ერთიანდება და შეიტანება იუნკერთა აკადემიური მოსწრების კრებისით მონაცემებში.

3. საგამოცდო ბუკლეტების გამოყენებით ჩატარებული გამოცდების წერთი ნამუშევრები და პასუხების ბარათები ინახება აკადემიის შეფასებისა და მონიტორინგის განყოფილებაში კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით.

## მუხლი 12. იუნკერის ცოდნის მიღწევების შეფასება

1. იუნკერის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 8 სექტემბრის #1259 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო და სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის“ შესაბამისად;

2. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა-ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

3. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა ;

4. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

5. იუნკერს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში; აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ. იუნკერის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

6. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

7. დაუშვებელია იუნკერის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებებს;

ბ) დასკვნით შეფასებებს.

8. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

9. შეფასების კომპონენტები–შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);

10. შეფასების მეთოდი–საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია,

დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, და სხვ);

11. შეფასების კრიტერიუმი არის შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.“.

12. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

13. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებ სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

14. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო ნაშრომი, ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებულია შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები და გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციაში და სილაბუსში.

15. იუნკერის შეფასება რეგულირდება აკადემიის უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხურზე გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

16. სასწავლო კურსის 100 ქულიანი შეფასებიდან ქულები გადანაწილებულია შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებებზე

17. საბაკალავრო და ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების როგორც შუალედური შეფასებების, ასევე დასკვნითი შეფასებისა მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განისაზღვრულია 30%-ით.

18. სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კომპონენტებში შუალედური და დასკვნითი შეფასებებისა და შეფასების კომპონენტების მინიმალური



კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 51%, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 45%

19. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსის ხელმძღვანელი უფლებამოსილია სასწავლო კურსის სილაბუსში დაადგინოს მოცემული წესისაგან განსხვავებული მინიმალური კომპეტენციის ხვედრითი წილი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

### **მუხლი 13. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა**

1. უმაღლესი აკადემიური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება ყველა სასწავლო კურსის/კომპონენტის შეფასებათა საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი, რის მიხედვითაც აკადემია კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

ა) წარჩინების დიპლომი გაცივმა იმ შემთხვევაში, თუ იუნკერის დიპლომის საშუალო ნიშანი (ე. წ. <sup>1</sup>GPA) შეადგენს არანაკლებ 3,5-ს.

ბ) ყველა სასწავლო კურსში/კომპონენტში დადებითი შეფასება-ჩვეულებრივი დიპლომი.

2. საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ ითვლება დიპლომის GPA.

---

<sup>1</sup>GPA(საშუალო შეწონილი ქულა, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: იუნკერის მიერ სასწავლო კურსებში მიღებული შეფასებების კოეფიციენტი მრავლდება ამ კურსის კრედიტების რაოდენობაზე და ამგვარად მიღებულ ნამრავლთა ჯამი იყოფა ამავე სასწავლო კურსების კრედიტების ჯამზე.)

კოეფიციენტი	შეფასება	ქულა
4,00	A	95%-100%
3,50	A-	91%-94%
3,25	B+	87%-90%
3,00	B	84%-86%
2,75	B-	81%-83%
2,50	C+	77%-80%
2,25	C	74%-76%
2,00	C-	71%-73%
1,50	D	66%-70%
1,25	D-	61%-65%
1,00	E	51%-60%
FX		41%-50%
F		<40%

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხურზე  
გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის  
დანართი 1

\_\_\_\_\_ სასწავლო წელი

\_\_\_\_\_ სემესტრი

საგამოცდო დისციპლინის დარღვევის

ო კ მ ი

სასწავლო კურსი:

გამოცდის ადგილი:

თარიღი და დრო:

დისციპლინის დამრღვევის

სახელი და გვარი:

სარეგისტრაციო ნომერი:

სასწავლო ჯგუფი/ოცეული:

დისციპლინის დარღვევის აღწერა :

ჩვენს მიერ დადგინდა ზემოთ აღნიშნული იუნკერის მიერ საგამოცდო  
დისციპლინის დარღვევის ფაქტი

გამოცდის მეთვალყურე:

.....  
წოდება, სახელი, გვარი, ხელმოწერა

შენიშვნების ფურცელი

სასწავლო კურსი:

აუდიტორია:

თარიღი:

დრო:

#	გვარი , სახელი	კურსი	ოცეული	შენიშვნა			კომენტარი
				I	II	III	


მონიტორი: 1

2